პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1944 წ. № 23 (6917). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ავითარებდნენ წარმატებითს შეტევას, გადალახეს მდინარე ლუგა და დღეს, 1 თებერვალს, მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური კინგისეპი — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ნარვის მიმართულებით.

ქალაქ კინგისეპის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ფედიუნინსკის, გენერალ-მაიორ ალფეროვის, გენერალ-მაიორ ფადეევის, გენერალ-მაიორ ალიევის, პოლკოვნიკ პოტაპოვის, პოლკოვნიკ ნიკოლაროვის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ ჩარნიავსკის არტილერისტებმა, პოდპოლკოვნიკ კოვალევსკის ტანკისტებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სამოხინის მფრინავებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ მარინინის მესაზღვრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „კინგისეპის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 1 თებერვალს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი კინგისეპი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ კინგისეპის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წ. 1 თებერვალი.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია
საინფორმაციო ცნობა
ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს 1944 წლის 1 თებერვლის სხდომების შესახებ

გუშინ, 1 თებერვალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, დღის 11 საათზე შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა და ნაშუადღევის 2 საათზე — კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი, კავშირის საბჭოს სხდომაზე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი.

პალატების სხდომებზე მოსმენილ იქნა დასკვნითი სიტყვები დღის წესრიგის პირველ საკითხზე: მომხსენებლის — სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევისა და ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიების თანამომხსენებლების—დეპუტატების ი. ს. ხოხლრვისა და კ. ი. ნიკოლაევისი.

ეროვნებათა საბჭო და კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს 1944 წლისათვის. მუხლობრივ, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად მტკიცდება „კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

საინფორმაციო ცნობა
კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1944 წლის 1 თებერვლის გაერთიანებული სხდომის შესახებ

გუშინ, 1 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

ლოჟებში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სსრ კავშირის მთავრობის წევრების გამოჩენას დასწრენი მეუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან.

თავმჯდომარის მაგიდასთან არიან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ანდრეევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი და მათი მოადგილეები ამხანაგები ტ. დ. ლისენკო, უ. იუსუპოვი, ჩ. ა, ასლანოვა, მ. ვ. ყულიევი.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი.

დღის წესრიგშია საკითხი თავდაცვის სახალხო კომისარიატის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა, რომელსაც მეუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას არაერთგზის აწყვეტინებდნენ ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციად იქცეოდა და გამოხატავდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სესიის დასამტკიცებლად შეტანილი კანონპროექტების მოწონებას და იმის რწმენას, რომ წარდგენილი დიდი სახელმწიფოებრივი გარდაქმნანი ხელს შეუწყობენ ჩვენი დიდი სახელმწიფოს შემდგომს განმტკიცებას.

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი. კამაოში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ი. ი. პალეეკასმა (ლიტვის სსრ), მ. ჯ. ბაგიროვმა (აზერბაიჯანის სსრ), ვ. ტ. ლაცისმა (ლატვიის სსრ), პ. კ. პონომარენკომ (ბელორუსიის სსრ), ა. ა. ბოგომოლეცმა (უკრაინის სსრ), ი. ი. ვარესმა (ესტონეთის სსრ), მ. ს. გრეჩუხამ (უკრაინის სსრ), პ. ს. პროკოფენმა (კარელია-ფინეთის სსრ).

საწინააღმდეგო აზრის უქონლობის გამო ამხ. მოლოტოვმა უარი თქვა დასკვნითს სიტყვაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების მიერ ცალ-ცალკე ხმის მიცემით ერთხმად ამტკიცებს „კანონს მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნის შესახებ და ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“ და „კანონს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის საგარეო ურთიერთობის დარგში უფლებამოსილების მინიჭების შესახებ და ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია
თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებად საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ
ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1944 წლის 1 თებერვალს

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს წინაშე დასმულია ორი სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, საერთო - საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის საკითხი. სახალხო კომისართა საბჭოს ეს საკითხი სავსებით მომწიფებულად მიიჩნია.

საქმე ორი სახალხო კომისარიატის ჩვეულებრივს გარდაქმნას როდი ეხება. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მოკავშირე რესპუბლიკების წინაშე ახალი პასუხსაგები ამოცანები ისმება. დასმულია საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების ახალი ამოცანებისა და უფლებებისა, ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, და, მეორეც, უცხოეთის სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობის დარგში და, ამასთან დაკავშირებით, საკითხი დიდმნიშვნელოვანი გარდაქმნებისა ჩვენს საკავშირო სახელმწიფოში.

დღემდე მოკავშირე რესპუბლიკები მონაწილეობდნენ წითელი არმიის შექმნის, ორგანიზაციისა და შეიარაღების საერთო საქმეში. ჩვენი არმია იქმნებოდა, როგორც საერთო-საკავშირო არმია, და რესპუბლიკების ცალკეული საჯარისო ფორმირებანი არ არსებობდნენ. ახლა წინადადებაა წამოყენებული შემოღებულ იქნას რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებანი, რომლებიც წითელი არმიის შემადგენელი ნაწილები უნდა იყვნენ. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა მოთხოვნილება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნას თავდაცვის სახალხო კომისარიატები, აგრეთვე აუცილებლობა, რომ თავდაცვის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი საკავშირო - რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაიქმნას.

1922 წელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა მთლიანად თავმოყრილი იყო საგარეო საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატში, ამასთან ცალკეულმა რესპუბლიკებმა უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობის დარგში გადასცეს ამ სახალხო კომისარიატს. საბჭოთა კავშირის მთავრობა ახლა წინადადებას იძლევა მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლებამოსილება უშუალო ურთიერთობა იქონიონ უცხოეთის სახელმწიფოებთან და დასდონ მათთან შეთანხმებანი. ბუნებრივია, რომ რესპუბლიკებისათვის საგარეო ურთიერთობის დარგში უფლებამოსილობის მინიჭება იწვევს ოფიციალობას—შეიქმნას საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები მოკავშირე რესპუბლიკებში და აუცილებლობას—გარდაიქმნას საგარეო საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად.

წარმოდგენილი გარდაქმნის აზრი საკმაოდ ნათელია. ეს გარდაქმნა ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკების საქმიანობის დიდ გაფართოებას, რაც შესაძლებელი გახდა მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ზრდის შედეგად, სხვანაირად რომ ითქვას — მათი ნაციონალური განვითარების შედეგად. ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში ნაციონალური საკითხის პრაქტიკული გადაჭრის მხრივ, არ შეიძლება არ დავინახოთ ჩვენი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვება. (ტაში). მაგრამ ეს გარდაქმნა შესაძლებელი გახდა არა მარტო იმის შედეგად, რომ ჩვენი რესპუბლიკები განმტკიცდნენ, იგი შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ მიღწეულია მთლიანად არსებული ჩვენი საერთო-საკავშირო სახელმწიფოს განმტკიცება.

მომხდარი განმტკიცება საბჭოთა კავშირისა ყველაზე უფრო დამარწმუნებლად იმით დასტურდება, თუ როგორ ურტყამს გერმანელ ფაშისტთა არმიას ჩვენი წითელი არმია, რომელსაც აწევს უსაშიშრესი მტრის მთავარ ძალებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე, და როგორ წარმატებით ახლოებს იგი საბჭოთა ტერიტორიიდან მტრის სრული განდევნის მომენტს და მის სრულ განადგურებას. (ტაში). ახლა უკვე ცხადზე უცხადესია, თუ როგორ სკანდალურად ჩაიშალა მტრის ვარაუდები წითელი არმიის დამარცხებისა და რამდენად ბეცური იყო ჰიტლერული ვარაუდები საბჭოთა კავშირის ხალხთა გათიშვისა. ჩვენი არმია, რომელშიც შევიდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონობით ადამიანები და რომელსაც ესოდენ ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ჩვენი პარტიზანები მტრის ზურგში, დღითი-დღე სულ უფრო და უფრო წარმატებით ადასტურებს, თუ როგორ განმტკიცდა ჩვენი ქვეყანა, თუ რა ძლიერია საბჭოთა წყობილება, რაოდენ დიდია საბჭოთა ხალხების მეგობრობა. (ტაში).

ეს წინადადება თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობის ორგანიზაციის დარგში გარდაქმნების, ამასთან მოკავშირე რესპუბლიკათა ფუნქციების დიდი გაფართოების შესახებ საბჭოთა კავშირის ძალთა სიმტკიცისა და ზრდისადმი ჩვენი რწმენის ახალ დადასტურებად უნდა წარმოადგენდეს. ეს რწმენა მით უფრო ძლიერად აშკარაოდება, რომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით ეს გარდაქმნანი გატარდეს გაჩაღებული სამამულო ომის დროს, როდესაც ესოდენ დიდია ჩვენი ხალხების ძალების დაძაბვა, და როდესაც ყოველი სახელმწიფო როდი გაბედავ... ასეთი დიდი გარდაქმნების განხორციელებას.

1.
თავდაცვის სახალხო კომისარიატის გარდაქმნა

გადავდივარ თავდაცვის სახალხო კომისარიატის გარდაქმნის საკითხზე.

კანონის პროექტი წინადადებას იძლევა დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკები აწყობენ რესპუბლიკათა საჯარისო ფორმირებებს და რომ თავდაცვის სახალხო კომისარიატი საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაიქმნება. ამის შესაბამისად წინადადებაა წამოყენებული შეტანილ იქნას საჭირო დამატებანი საერთო-საკავშირო კონსტიტუციაში.

ჩვენში ახლაც არსებობენ ნაციონალური საჯარისო ფორმირებანი წითელ არმიაში. ჩვენს არმიაში არიან საჯარისო ფორმირებანი: ლიტველებისა, ლატვიელებისა, ესტონელებისა, ქართველებისა, აზერბაიჯანელებისა, სომხებისა, უზბაზებისა და ზოგიერთი სხვა. ამ საჯარისო ნაწილებიდან ზოგიერთი უკვე სამამულო ომის დროს შეიქმნა. ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ისწრაფვიან თავიანთი ადგილი დაიკავონ წითელი არმიის რიგებში, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნას.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთში სამხედრო სამსახურში არ იწვევდნენ ზოგიერთ ეროვნებასა და ხალხს. არ იწვევდნენ, მაგალითად, უზბეკებს, უაზბაზებს, ტაჯიკებს, თურქმენებს, ყირგიზებს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა უმრავლესობას, აგრეთვე ჩრდილოეთის ხალხებს. ცარიზმი, ბუნებრივია, არ ენდობოდა იმ ხალხებს, რომლებიც მას კოლონიურ ან ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში ჰყავდა. მეფის ხელისუფლება არაფერსაც არ აკეთებდა იმისათვის, რომ ეს ხალხები მომზადებული ყოფილიყვნენ არმიაში თანდათან ჩასაბმელად.

საბჭოთა დროში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

ჩვენს კანონმდებლობაში, რა თქმა უნდა, არ არის უფლებრივი შეზღუდვები არმიაში ამა თუ იმ ეროვნების გაწვევის მხრივ. მაგრამ უნდა გაავლო ერთგვარ დროს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო წითელ არმიაში გაწვევების ფაქტიური განხორციელება საბჭოთა კავშირის ყველა ნაწილში. წითელ არმიაში ნაწილობრივი გაწვევები ტარდებოდა წინა წლებში სსრ კავშირის იმ რაიონებში, სადაც ძველ დროს სამხედრო გაწვევა არ სწარმოებდა. იქმნებოდა ნაციონალური საჯარისო ნაწილებიც წითელ არმიაში, მაგრამ ამ ფორმირებებმა დღევანდლამდე ვერ ჰპოვეს თავიანთი ნამდვილი განვითარება.

ახლა მდგომარეობა გაუმჯობესდა. შეიქმნა საკმაო შესაძლებლობანი მოკავშირე რესპუბლიკებში საჯარისო ფორმირებათათვის. ყველა რესპუბლიკაში მოიპოვებიან არა მარტო კადრები რიგითი მებრძოლებისა, არამედ ერთგვარი კადრები მეთაურთა შემადგენლობისაც, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს სათანადო საჯარისო ნაწილებს. ამრიგად, ახლა მოკავშირე რესპუბლიკებში საჯარისო ფორმირებათა შექმნა შეიძლება მტკიცე ნიადაგზე იქნას დაყენებული. მაგრამ ამ ამოცანის განსახორციელებლად უნდა გვქონდეს თავდაცვის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები და, მაშასადამე, იქმნება აუცილებლობა გარდაიქმნას თავდაცვის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გააძლიერებს აგრეთვე რესპუბლიკების ყურადღებას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო სწავლების დაყენებისადმი, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ასეთი მდგომარეობის დროს რესპუბლიკებში საჯარისო ფორმირებათა, როგორც წითელი არმიის შემადგენელ ნაწილთა, შექმნა თავის მცირე დადებითს როლს როდი ითამაშებს.

რა გავლენას მოახდენს ეს ჩვენს წითელ არმიაზე? ხელს შეუწყობს თუ არა ეს მის განმტკიცებას, მისი ძლიერებაც ზრდას? დიახ, ხელს შეუწყობს. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ჩვენი არმია მუდამ მახლობელი და ძვირფასი იყო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. სამამულო ომის მსვლელობაში კიდევ უფრო გაძლიერდა სსრ კავშირის ხალხთა სიყვარული თავიანთი არმიისადმი, და კიდევ უფრო ძლიერი ნდობა ამ ყველაფერთა გახდა საბჭოთა ადამიანების სიმამაცე წითელი არმიის წარმატებებითა და გმირობით. (ტაში). მართლაც. ვინ არ ხედავს, თუ რა სასახელო ბრძოლას ეწევა ჩვენი არმია უკრაინის განთავისუფლებისათვის, ბელორუსიის განთავისუფლებისათვის? ვინ არ აფასებს მთელი სულითა და გულით იმას, თუ რას აკეთებს წითელი არმია ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის მოახლოებული განთავისუფლების მოსამზადებლად? (ხანგრძლივი ტაში). ვის არ ახსოვს, რომ საბჭოთა ჯარებმა იხსნეს აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი გერმანული ფაშიზმის შესევისაგან? (ტაში). ვინ არ ასხამს ხოტბას საბჭოთა ხალხში ჩვენს არმიას იმისათვის, რომ მან დაიცვა ჩვენი დედაქალაქი — მოსკოვი, გაანადგურა გერმანელები სტალინგრადთან და მთელ ფრონტზე გადავიდა შეტევაზე, დაიცვა ლენინგრადი, მთლიანად მოხსნა მას ბლოკადა და ახლა მიერეკება მტრის ურდოებს მშობლიური მიწა-წყლიდან ისე, რომ სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევს მათ? (მეუხარე, ხანგრძლივი ტაში). ვის, არ ესმის ახლა, ჯარდა ფაშიზმით მოშხამულებისა, რომ წითელი არმია განმათავისუფლებელ მისიას ასრულებს არა მარტო თავის სამშობლოს მიმართ, არამედ ყველა დემოკრატიული ქვეყნის მიმართაც. რომლებიც იბრძვიან თავიანთი ღირებულების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ფაშიზმის მხრივ მოგონილი მომაკვდინებელი საფრთხის წინააღმდეგ? (ტაში). შემდეგ, ვის არ სასმის, რომ ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები და მუშა ქალები, რომ გლეხები და გლეხი ქალები კოლმეურნეობებში, რომ ჩვენი ინტელიგენცია, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებას, რომ თავიანთი თავდადებული შრომით ისინი საქმით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, გმირი წითელი არმიის წინაშე? (ხანგრძლივი ტაში).

რესპუბლიკათა საჯარისო ნაწილების შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი არმიის, როგორც ჩვენი სამშობლოს დამცველის, საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენის შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის მტრებს შეუძლიათ ექვი არ შეიტანონ, რომ ამ ახალ საჯარისო ფორმირებათა შედეგად ჩვენი სახელმწიფოს ძალები კიდევ უფრო განმტკიცდება. ეს აიძულებს მათ უფრო ფრთხილად მოიქცნენ შემდეგში. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის სულ უფრო და უფრო განმტკიცების ეს ახალი განსახიერება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის შემდგომ ზრდას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა თვალში. (ტაში).

II.
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნა

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საგარეო საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატის საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნას.

საბჭოთა კავშირის შექმნამდე, რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად, არსებობდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში; ამ კომისარიატებს გარკვეულ შემთხვევებში საგარეო ურთიერთობა ჰქონდათ სხვა სახელმწიფოებთან. პირველ პერიოდში, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყო შეკრული ერთ საერთო-საკავშირო სახელმწიფოდ, არამედ განცალკევებული ნაწილებისაგან შესდგებოდა, — ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებსა და უცხოეთის სახელმწიფოთა შორის მთელი რიგი ხელშეკრულებები და შეთანხმებები დაიდო. ზოგიერთ შემთხვევაში რუსეთის სფსრ წარმომადგენლებს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან ეძლეოდათ სპეციალური რწმუნებულება საერთაშორისო თათბირებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებათა დასადებად ყველა ან რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკის სახელით. ამხანაგი სტალინი საბჭოების 1-ლ საერთო-საკავშირო ყრილობაზე ამბობდა, რომ მაშინ „საბჭოთა რესპუბლიკები, თუმცა ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა თავიანთი არსებობის საკითხით დაინტერესებულნი, ცალ-ცალკე ვიდოდნენ“. პირველ სტადიაში ეს გარდუვალი იყო.

სსრ კავშირის შექმნისას, მოკავშირე რესპუბლიკების საერთო ნება-სურვილის შესაბამისად, გადაწყვეტილ იქნა ერთ ცენტრში ყოფილიყო გაერთიანებული უცხოეთის სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობის საქმე. მაშინ შეიქმნა საგარეო საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი, რომელმაც ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატების უფლებები მიიღო. მას შემდეგ ჩვენ დრომდე საბჭოთა სახელმწიფო საზღვარგარეთ წარმოდგენილი იყო საერთო-საკავშირო დიპლომატიური წარმომადგენლების საშუალებით. ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხოეთის სახელმწიფოებთან აგრეთვე მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახელით იდებოდა. ეს აუცილებელი იყო ჩვენი სახელმწიფოს განვითარების გარკვეული ეტაპისათვის და მან თავისი დადებითი შედეგები მოგვცა, — განამტკიცა სახელმწიფო და ამაღლა მისი როლი საერთაშორისო საქმეებში. (ტაში).

მაგრამ იმ დროსაც, ჯერ კიდევ პარტიულ ყრილობაზე 1923 წელს, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ნაციონალურ საკითხს ჩვენ კიდევ არაერთხელ დავაყენებთ, ვინაიდან ნაციონალური და საერთაშორისო პირობები იცვლება და კიდევ შეიძლება შეიცვალოს. ფიქს ვერ დავდებ, რომ, იქნებ, ჩვენ მოგვიხდეს შემდეგ გავაცალკევოთ ზოგიერთი კომისარიატი, რომლებსაც რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ვაერთიანებთ...“

როგორც ნაციონალური საკითხის საუკეთესო მცოდნე, არა მარტო ჩვენს პარტიაში და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, ამხანაგი სტალინი,—რომელმაც დიდ ლენინთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირს, — უკვე მაშინ აღნიშნავდა, რომ ცალკეულ ნაციონალურ ერთიერთობის ურთიერთობა და ნაციონალური განვითარება არ ერთხელ გამოიწვევენ საბჭოთა სახელმწიფოს აპარატს ორგანიზაციულ გარდაქმნას. სხვანაირად არც შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმეთა ვითარება, განსაკუთრებით ისეთ ახალგაზრდა და სწრაფად განმტკიცების პროცესში მყოფ ორგანიზმში, როგორიც არის საბჭოთა კავშირი.

ახლა მოკავშირე რესპუბლიკათა საგარეო ურთიერთობის საკითხი სხვანაირად დგას, ვიდრე იდგა ორი ათეული წლის წინათ, როდესაც საბჭოთა კავშირი იქმნებოდა. ეს საკითხი რესპუბლიკათა ყასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან წარმოიშვა და მის გადაწყვეტას საბჭოთა კავშირის, როგორც მთელის, ინტერესები გვიკარნახებს.

დიდი ხანია გავიდა ის დრო, როცა უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობდა არ შეემჩნია ოქტომბრის რევოლუციით შობილი საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა. ახლა, პირიქით, უცხოეთის სახელმწიფოთა შორის იზრდება მიაწრაფება ჩვენს სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისაკენ. რა თქმა უნდა, მსოფლიო ომის პირობებში ამისათვის თავისი განსაკუთრებული არამცირე სიძნელეები არსებობს, მაგრამ მაინც ომის წლების განმავლობაშიც სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა განუხრელად ფართოვდებოდა. შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ სწორედ ომის პერიოდის განმავლობაში ავიდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ფაქტები საყოველთაოდ არის ცნობილი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ჩვენ პირველად დავამყარეთ არა მარტო მეგობრული, არამედ მოკავშირეობის ურთიერთობაც დიდ ბრიტანეთთან (ხანგრძლივი ტაში). ასეთივე კარგი ურთიერთობა დამყარდა ჩვენსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. (ხანგრძლივი ტაში). შეიქმნა მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელსაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, — კოალიცია, რომლის სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა მთელ დემოკრატიულ სახელმწიფოთათვის ძნელია გადაჭარბებულად შეფასდეს. (ტაში). ევროპის სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის თანდათან განმტკიცების მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება, რაც ამ ცოტა ხნის წინათ დაიდო. ჩაყრილი აქვს საფუძვლები დიდი და პატარა დემოკრატიული ქვეყნების თანამშრომლობას არა მარტო საერთო მტრის წინააღმდეგ ომის დროს, არამედ ომისშემდგომი პერიოდისათვისაც აგრესიულ სახელმწიფოთა მხრივ ახალი ხელყოფისაგან მშვიდობიანობის დასაცავად. როგორც ცნობილია, მოსკოვისა და თეირანის კონფერენციებმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავეს ანტიჰიტლერული კოალიციის განვითარებასა და განმტკიცებაში და არასოდეს არა ყოფილა ისე დიდი, როგორც ახლა, ანტიჰიტლერული ბანაკის ხალხთა რწმენა მოახლოებული და სრული გამარჯვებისადმი, მოკავშირეთა უკვე არაშორეული ერთობლივი გამანადგურებელი დარტყმებისადმი საერთო მტრისათვის, აგრეთვე რწმენა იმისა, რომ ამ ერთობლივს ბრძოლაში გამოიწვრთობა ანტიფაშისტური ქვეყნების კავშირი და მეგობრობა. (ტაში).

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესია

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1944 წლის 1 თებერვალს

(დასასრული)

და მაინც არ შეიძლება თქვას, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ამ საერთო, დადებითს მსვლელობას შეეძლოს მთლიანად მოიცვას არა მარტო საერთო-საკავშირო საჭიროებანი, არამედ მოკავშირე რესპუბლიკათა მრავალნაირი და ზრდადი მოთხოვნილებანიც საგარეო საქმეებში. მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ არამცირე სპეციფიკური სამეურნეო და კულტურული საჭიროებანი, რომლებიც არ შეიძლება სავსებით მოცულ იქნან საზღვარგარეთ საერთო-საკავშირო წარმომადგენლობის მიერ, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. რესპუბლიკათა ეს ნაციონალური საჭიროებანი შეიძლება უკეთ დაკმაყოფილებულ იქნან სათანადო სახელმწიფოებთან რესპუბლიკათა პირდაპირი ურთიერთობის საშუალებით. რა თქმა უნდა, საჭიროა ამგვარი საკითხების სპეციალური კონკრეტული დამუშავება საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანოებში. არ შეიძლება აგრეთვე იმის უარყოფა, რომ საჭირო გახდება ერთგვარი დრო, რათა რესპუბლიკების ეს საგარეო საქმიანობა მოგვარდეს. ასეთი საკითხები შაბლონურად როდი წყდება. მაგრამ უდავოა ის, რომ საქმიანობის საგარეო ასპარეზზე გამოსვლის საკითხმა მთელი რიგი რესპუბლიკებისათვის უკვე მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობა მოიპოვა. დასასრულ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამას მოითხოვს ინტერესები არა მარტო ამა თუ იმ ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკისა, არამედ ინტერესები სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებისა და თანამშრომლობის გაბმკიცების მთელი საქმისა, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ომის დროს და რაც თავის ნაყოფს გამოიღებს ომისშემდგომ პერიოდშიც.

აი საფუძვლები, რომელთა ძალითაც აუცილებლად უნდა იქნას ცნობილი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნა. თუ პირველ პერიოდში არსებობდა მხოლოდ რესპუბლიკური საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები, მეორე პერიოდში კი — მხოლოდ საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი, ახლა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი უნდა გადაიქცეს უფრო რთულ და განშტოებულ ორგანიზაციად — საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად.

მე დამრჩენია ცოტა რამ დავძინო ჩვენი დიპლომატიური პრაქტიკის შესახებ. გვიხდება აღვნიშნოთ შემდეგი: იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კონსტიტუციაში არ მოიპოვება სპეციალური მითითებანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებზე სხვა სახელმწიფოებთან წარმომადგენლობათა გაცვლისა და საგარეო ურთიერთობის შესახებ, ზოგჯერ განმარტავენ პირდაპირ საზიანოდ საბჭოთა რესპუბლიკებისა და მთლიანად აღებული საბჭოთა კავშირისა. წარმოდგენილი დამატება ხელს შეუწყობს ამგვარი ფაქტების ლიკვიდაციას.

III.

ახალი ნაბიჯი წინ ნაციონალური საკითხის გადაჭრაში

წარმოდგენილი გარდაქმნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატისა ახალი ნაბიჯია წინ საბჭოთა კავშირში ნაციონალური საკითხის გადაჭრაში. ეს გარდაქმნა პირდაპირ შეესაბამება ჩვენი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებს. ამჟამად ასეთ ღონისძიებათა გატარება იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ თავისი განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია, რომ იგი უფრო რთულ და სისხლისაგან ორგანიზმად იქცევა. ამაში არ შეგვიძლია არ დავინახოთ საბჭოთა კავშირის ორგანიზაციის სოციალისტურ პრინციპთა დიადი მნიშვნელობის ახალი დადასტურება.

მოხსენებაში საბჭოების ყრილობაზე, რომელიც ამტკიცებდა სსრ კავშირის კონსტიტუციას, 1936 წელს, ამხანაგმა სტალინმა ასე დაახასიათა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება, რამაც უზრუნველჰყო სოციალიზმის ბაზაზე მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის წარმატება:

„არსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ერებს შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტორმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჩარა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამრიგად მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს საფუძვლად ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეე შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერებას რომელიც გნებავთ ნაწილში". (ხანგრძლივი ტაში).

მას შემდეგ განვლო კიდევ შვიდმა წელმა, და მერე რა წლებმა? მაღე სამი წელი შესრულდება, რაც ჩვენ ვაწარმოებთ დიდ სამამულო ომს გერმანულ ფაშიზმთან და მის მოკავშირეებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში იყენებენ თითქმის მთელი ევროპის მატერიალურსა და ადამიანთა რესურსებს. ეს იყო ახალი და ამასთან ყველაზე სერიოზული განსაცდელი ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოსათვის. შაგრამ ამ განსაცდელსაც ღირსეულად გაუძლო საბჭოთა კავშირმა.

ოქტომბრის რევოლუციის XXVI წლისთავზე ამხანაგმა სტალინმა ასეთი სიტყვებით შეაჯამა უკანასკნელი პერიოდის შედეგი:

„საბჭოთა კავშირის ყველა ხალხნი ერთსულოვნად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად, რადგან მათ ახლანდელი სამამული ომი სამართლიანად მიაჩნიათ ყველა მშრომელის საერთო საქმედ განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ახლა უკვე თვითონ ჰიტლერელი პოლიტიკოსები ხედავენ, რა უაღრესად სულელური იყო მათი ვარაუდები, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მოხდებოდა გათიშვა და შეჯახებანი. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელისა და განსაცდელის გაუძლო და კიდევ უფრო გამოწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში". (ტაში).

ამხანაგ სტალინის სიტყვით,—ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების ერთერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის წყარო.

შევაჯამოთ შედეგები.

ვაბორციელებთ რა დღევანდელს პირობებში დიდ სახელმწიფო გარდაქმნებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, საჭიროა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ჩვენ ქვეყანაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ვდგამთ ჩვენ ნაბიჯს სსრ კავშირის განმტკიცებისა თუ დასუსტებისაკენ?

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა ამ საკითხზე გარკვეული პასუხი გავცეთ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის გარდაქმნა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ მოკავშირე რესპუბლიკების ამოცანებისა და ფუნქციების გაფართოებიდან, არა მარტო არ ეწინააღმდეგება ჩვენი კავშირის განმტკიცების ინტერესებს, არამედ პირიქით, ხორციელდება ჩვენი დიდი სახელმწიფოსათვის და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის (ხანგრძლივი ტაში). საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტიდან კონსტიტუციამ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უზრუნველჰყო მათი სუვერენული უფლებების ისეთი უმაღლესი გამოხატულება, როგორიცაა სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება. მაგრამ რამდენადაც მეტი ხანი გადის, იმდენადვე საბჭოთა კავშირის ხალხები უფრო იმსჭვალებიან მისწრაფებით იცხოვრონ მჭიდრო მეგობრობით ურთიერთშორის, დაეხმარონ ერთმანეთს და ერთად იარონ ყოველგვარი განსაცდელის გადატანაში საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით. (ტაში).

კავშირის მხრივ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში რესპუბლიკების გაზრდილ საჭიროებათა ფაქტის აღიარება, მათ შორის რესპუბლიკების ნაგარეო საქმიანობისაც და ამ საჭიროებათა კანონმდებლობით უზრუნველყოფისაც, მხოლოდ ანმტკიცებს ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმურ ურთიერთობას და კიდევ უფრო სრულად გამოხატავს საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიულ აზრს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა თვალში.

უნდა აღვიაროთ აგრეთვე, რომ სსრ კავშირში ნაციონალური საკითხის გადაჭრის საქმეში წინ გადადგმულ ახალ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალსაზრისით. იმ პერიოდში, როდესაც გერმანულმა ფაშიზმმა — იმპერიალიზმის ამ უმახინჯესმა ქმნილებამ—თავი ასწია და მსოფლიო ომი გააჩაღა, რათა დაახრჩოს მეზობლები, მოსპოს თავისუფალი სახელმწიფოები და თავისი ავანაკური იმპერიალისტური პოლიტიკა მოახვიოს თავს ევროპის სხვა ხალხებს, ხოლო შემდეგ მთელი მსოფლიოს ხალხებსაც,—ახალ წარმატებას საბჭოთა სახელმწიფოში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა იქნება. საბჭოთა ხელისუფლების ეს ნაბიჯი ახალი მორალურ-პოლიტიკური დარტყმა იქნება ფაშიზმისა და მისი კაცთმოძულე პოლიტიკისათვის, რომელიც მტრობით არის მთლიანად გაჟღენთილი ხალხთა თავისუფალი ნაციონალური განკითარების ინტერესებისადმი. საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირენი უკვე წარმატებით ურტყამენ ფაშიზმს, რომელმაც თავს მოგვახვია ეს ომი და ახლოებენ მისი სრული სამხედრო განადგურების ვადებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფაშისტური ძალების სამხედრო განადგურებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. საჭიროა, რომ ფაშიზმის მორალურ-პოლიტიკური განადგურება აგრეთვე მიყვანილ იქნას ბოლომდე. (ხანგრძლივი ტაში). ამას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, წარმატებით შეუწყობენ ხელს ის სახელმწიფო გარდაქმნანი საბჭოთა კავშირში, რომლებსაც ახლა თქვენს დასამტკიცებლად ვადგენთ.

მე გამოვთქვამ რწმენას, რომ უმაღლესი საბჭო ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვნებას წარმოდგენილ სახელმწიფო გარდაქმნათა საკითხის გადაწყვეტაში. (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ეროვნებათა საბჭოს სხდომა

31 იანვარს დილით შესდგა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ჩ. ა. ასლანოვი და მ. ვ. კულაგინი. სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომაროს მოადგილე ჩ. ა. ასლანოვი.

გრძელდება კამათი სესიის დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო. კამათის მონაწილე ყველა დეპუტატი ერთსულოვნად იწონებს მთავრობის მიერ წარმოდგენილს სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს — ბიუჯეტისა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველჰყოს გერმანელ ოკუპანტებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვება, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარება.

— ომიანობის დროის სიძნელეების მიუხედავად,—ამბობს დეპუტატი მ. ი. ჯაში, — საქართველოს სახალხო მეურნეობა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას სამხედრო საკუთრელს. სამრეწველო საქონელსა და სურსათს. 1944 წლისათვის დასახული საქართველოს სს რესპუბლიკის ბიუჯეტი სავსებით უზრუნველჰყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

დეპუტატი მ. იბრაგიმოვი ლაპარაკობს საბჭოთა აზერბაიჯანის კულტურის აყვავებაზე.

— ჩვენი მთავრობისადმი მადლობის გრძნობით,—აღნიშნავს დეპუტატი იბრაგიმოვი, — მივიღეთ ხმა 1944 წლის ბიუჯეტს. იმიტომ, რომ იგი უზრუნველჰყოფს გერმანელ ფაშისტთა ურდოების სამხედრო განადგურებას, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი გმირი წითელი არმიის ძალასა და სიმძლავრეს და ჰქმნის საჭირო მატერიალურ პირობებს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

შემდეგ გამოდის დეპუტატი ი. ხ. ბილინსკი.—ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა ბელორუსიიდან ფაშისტთა ურდოების მასობრივი განდევნა,—ამბობს იგი. — წითელ არმიასთან ერთად რესპუბლიკის განთავისუფლებულ რაიონებში მოდის სიკეთე და ბედნიერება, იწყება ქალაქებისა და სოფლების აღდგენა.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი განთავისუფლებულ რაიონებში ხელს შეუწყობს გერმანელების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის უსწრაფეს აღდგენას.

სიტყვა ეძლევა თევზის მრეწველობის სახალხო კომისარ ამხ. ა. ა. ოშკოვს. ·მას მოჰყავს თევზის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომის, წითელი არმიისა და გმირული საბჭოთა ზურგის მოსამარაგებლად პაიი დოფლავი მუშაობის ფაქტები.

უზბეკი ხალხის დაძაბულ შრომაზე. მის თავდადებულ მუშაობაზე ფრონტისათვის თავის სიტყვაში მოგვითხრობს დეპუტატი ტ. კარი-ნიაზოვი. რესპუბლიკაში მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა ამჟამად შეადგენს 48,5 პროცენტს, ნაცვლად 1940 წლის 14,3 პროცენტისა. თავდადებულად შრომობს უზბეკეთის რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობაც.

დეპუტატი კარი-ნიაზოვი დაწვრილებით აცნობს სესიას, თუ რა წარმატებებს მიაღწია უზბეკეთის რესპუბლიკამ კულტურული მშენებლობის დარგში.

დეპუტატი ნ. ა. მასლენიკოვი ამბობს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი სიხარულით შეხვდება ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 128,4 მილიარდი მანეთი გადასდო თავდაცვის საჭიროებისათვის.

ამხ. მასლენიკოვამ აცნობა სხდომას, თუ რა საშინელი ნგრევა და მზეცობა ჩაიდინეს ვერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა კურსკის ოლქის დროებითი ოკუპაციის პერიოდში.

დეპუტატი რ. ჯალილოვი ამბობს, რომ წითელი არმიის გამარჯვებანი აღფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის. ტაჯიკეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც მთლიანად ფრონტის სამსახურში არიან ჩაყენებულნი, გაცილებით უფრო მეტ პროდუქციას აძლევენ სახელმწიფოს, ვიდრე ომამდე.

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. მ. ი. სალტიკოვს თავის სიტყვაში მოჰყავს ციფრები, რომელნიც მოწმობენ სატყეო მრეწველობის მუშაკთა განუწყვეტელივ მზარდ შრომითს ღონისძიებებს.

დეპუტატი ს. ო. პრიტიცკი სესიის წინაშე აყენებს იმ უდიდესი სახსრების ყველაზე უფრო რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო ითვალისწინებს ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. კერძოდ, ამხ. პრიტიცკი მიუთითებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადებასა და გამოყენებაში, ქიმ-სამკითხველოებისა და სოფლის კინოდანადგართა მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

დეპუტატი პრიტიცკი სავსებით უპირს ნხარს მთავრობის მიერ წარმოდგენილს ბიუჯეტის პროექტს და ამბობს:

— სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა განმტკიცებულია ბრძოლის ველებზე ერთობლივად დაღვრილი სისხლით, და მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ მეგობრობის დარღვევა. ჩვენ გვაერთიანებს ერთი აზრი—უფრო სწრაფად გავანადგუროთ მტერი, გავწმინდოთ მისგან ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ ამ მიზნისაკენ მივიჯევართ ბოლშევიკების პარტიას და ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

დეპუტატი ფ. ა. რახტეევი (უდმურტეთის ასსრ) განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ, ომიანობის დროის სიძნელეების მიუხედავად, საბჭოთა მთავრობას შესაძლოდ მიაჩნია წლითი-წლობით გაადიდოს ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ამაში მკაფიოდ ჩანს თავი პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ სსრ კავშირის ხალხთა კულტურის ზრდისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციის როლს, მის თავდადებულ შრომას ფრონტისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის უძღვნის თავის სიტყვას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხ. ვ. კაფტანოვი.

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა. (საკვლისი).

კავშირის საბჭოს სხდომა

31 იანვარს საღამოს შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ტ. დ. ლისენკო და უ. იუსუპოვი. ლოჟაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები.

გრძელდება სსრ კავშირის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების განხილვა. სხდომის თავმჯდომარე — კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ტ. დ. ლისენკო—სიტყვას აძლევს დეპუტატ ტ. კულატოვს.

ამხ. კულატოვს მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ყირგიზეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ზრდას და რომელნიც წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო დადასტურებას.

შემდეგ გამოდის დეპუტატი ვ. პ. პოტიომკინი.

— სამამულო ომის დღეებში, ჩვენი ქვეყნის ყველა საშუალებათა უაღრესი დაძაბვის პირობებში ჩვენი პარტია და მთავრობა, — ამბობს იგი,—წინანდებურადვე დაუღალავად ზრუნავენ სახალხო განათლებისათვის. სახალხო განათლებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსრ კავშირის 1944 წლის ბიუჯეტში.

დეპუტატი პოტიომკინი დაწვრილებით ჩერდება უდიდეს აღდგენითს მუშაობაზე, რომელიც გაწეულ იქნა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებულ რაიონებში.

— ერთი წლის წინათ ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ დაამთავრა მტრის ჯარების ლიკვიდაცია სტალინგრადის რაიონში, — ამბობს დეპუტატი ი. ფ. ზიმენკოვი. — პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა — მოსკოველთა, ლენინგრადელთა, გორკელთა, სარატოველთა, კუიბიშეველთა, სვერდლოვსკელთა, ჩელიაბინსკელთა—ძმური დახმარების მეოხებით ხდება ვოლგის საუცხოო ქალაქ სტალინგრადის აღორძინება. ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად გმირი სტალინგრადელები ერთსულოვნად იწონებენ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხის ურყევ ნებისყოფას გერმანელ ოკუპანტთა განადგურებისათვის.

დეპუტატმა კ. ფ. სახაროვამ ილაპარაკა საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლასა და შრომაზე.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ი. ნ. აკიმოვი თავის სიტყვას უძღვნის საფეიქრო მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს, საფეიქრო მრეწველობისა, რომლისთვისაც 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებებია გათვალისწინებული.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს უეჭველად დაუჭერს მხარს მთელი ჩვენი ხალხი, ამბობს დეპუტატი ს. ა. ვაგაბოვი. იგი დაწვრილებით ჩერდება ბაშკირეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, ბაშკირეთისა, რომელიც ომის დროს საბჭოთა კავშირის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი გახდა.

დეპუტატი ნ. ი. ჩუტოვი ლაპარაკობს, თუ რა საშინელი ბორტოქმედებანი ჩაიდინეს ჰიტლერელებმა ტულის ოლქში მათი თარეშის დროს. წინასწარი ცნობებით, ტულის ოლქისათვის გერმანელი მტაცებლების მიერ მიყენებული ზარალი 5.5 მილიარდ მანეთზე მეტი თანხით აღირიცხება. ამჟამად უკვე აღდგენილია მოსკოვსახლო ბასეინის ყველა შახტი, დიდძალი სკოლა, სამკურნალო ბაღებისა და ბაგების მთელი ქსელი. ახლა მთავრობა უდიდეს სახსრებს ითვალისწინებს აღდგენითი სამუშაოებისათვის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიზანშეწონილად და მომჭირნეობით გამოიყენონ განთავისუფლებული რაიონების მეურნეობისა და კულტურის აღსადგენად ასიგნებული ყოველი კაპიკი.

სსრ კავშირის სამშენებლო მასალების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ლ. ა. სოხანინი დაწვრილებით ჩერდება სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს ასიგნობებს კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის. ომის განმავლობაში ეს მშენებლობა ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა. ურალში, ციმბირში, შუა აზიაში აგებულია უდიდესი რაოდენობის სამრეწველო საწარმოები, შახტები, ელეტროსადგურები. ახლა ამოცანაა მკვეთრად გავადიდოთ წარმოება სამშენებლო მასალისა, რაც საჭიროა გერმანელების მიერ დანგრეული მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ პ. ფ. ტიულიაევს. იგი ლაპარაკობს, თუ რა სწრაფად ხდება კრასნოდარის მხარის აღორძინება გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლების შემდეგ. ამ წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი დიდ შესაძლებლობას იძლევიან კრასნოდარის მხარის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

ყაზახის კაზაკები და კაზაკი ქალები, ამბობს დეპუტატი ტიულიაევი, — დიდი აღფრთოვანებით დაუჭერენ მხარს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტს, მასში ისინი ხედავენ გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვების სიწმინდრს.

დეპუტატ ტიულიაევს წინადადება შეაქვს გადიდებულ იქნას ანარიცხი ბიუჯეტში ადგილობრივი მრეწველობის სახსრებიდან. ეს დამატებითს რეზერვებს მოგვცემს განთავისუფლებული რაიონების სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

ჰიტლერელების მიერ კიევის ოლქში ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ ლაპარაკობს თავის სიტყვაში დეპუტატი ზ. ტ. ხერდიუკი. გმირმა წითელმა არმიამ, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი სტალინი, უკვე გაათავისუფლა გერმანელ ოკუპანტთაგან მთელი დნეპრის მარცხენა ნიპირის უკრაინა და კვლავ მიერეკება ოკუპანტებს დასავლეთისაკენ. უკრაინის მილიონობით მშრომელნი მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას, ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ რუს ხალხსა და სსრ კავშირის ყველა ხალხს, მშობლიური უკრაინის მიწა-წყლიდან გერმანელ მტაცებლთა განდევნაში გაწეული დახმარებისათვის. უკრაინელი ხალხი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები, განსაკუთრებული კმაყოფილებითა და სიხარულით შეხვდებიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო ძალიერების განსამტკიცებლად ხარჯების გადიდებას ამა წლის ბიუჯეტში.

ბიუჯეტის პროექტით, აღნიშნავს ამხ. სერდიუკი, გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ასიგნობანი უკრაინის რესპუბლიკისათვის. კიევისა და კიევის ოლქის მშრომელები, რომელნიც თავდადებულად აღადგენენ თავიანთ მეურნეობას, მხურვალე მადლობით იღებენ უკრაინელი ხალხის საჭიროებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ამ ახალ გამოვლინებას.

დეპუტატი ი. პ. კიპარენკო აღნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის საქმისათვის, გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის მნიშვნელოვანი სახსრების გაღება გამობატავს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ნება-სურვილს.

სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი ახალი ბიუჯეტი ხელს შეუწყობს იმას, რომ ომოკლეს ვადაში მოვახდინოთ ოკუპაციის შედეგთა ლიკვიდაცია. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას დონელი კაზაკები უპასუხებენ ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით, ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამოშვების გადიდებით.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მესამე სხდომა. (საკვლისი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსგან

1 თებერვლის ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა 1 თებერვალს დაიკავეს ქალაქი კინგისეპი და, განაგრძობდნენ რა შეტევას, გადალახეს ჩრდილოეთით და სამხრეთით, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სტარო ბელოგორსკი, ნოვო-ბორკოვო, ნოვო-ბორკოლოვო, კოლგომპია, რეპინა, ზაბლოცკი, ბუსინო, ბუბკი, ლოგბოდა 1-ლი და 2-რე, კოსკოლოვო, ნიქონიეტლესი, ბუბკი, ლოგბოდა 1-ლი და 2-რე, კოსკოლოვო, ნიქონიეტლუშიცი, პესკი, ვერხნიე ლუშიცი, პოლუჩინ, კუროვიცი, ოლლი, კეიკინო, დალნიაია პოლიანა, მანოვკა, ბორელოვო, ლოგბოლოვო, ზამოშინო, სტარაპოლიე, ხატილო, ვალოვო, პორეჩიე, უსადიშე, ბლაზოვა ბორკა, ოსინო, ლუბოვსკიე და რკინიგზის სადგურები ვალბოვიცი, კოსკოლოვო, ლეტნიაია, ტუბანი.

ქალაქ ლიუბანის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის საინჟინრო ხერგილებს ტყის გზებზე, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები დაბა ნოვინკა, ბლუბოჩკა, ალარაკსინ ბორი, ჩერვინსკაია ლუკა, ჩერვინო, კრაპივნო, კრუტიკი, კრივინო, ოლხოვსკიე და რკინიგზის სადგური ნოვინკა.

ნოვგოროდის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბელილი, ხოლოვეცი, პოჩაკი, ხლუპინო, კოსტროვი, ველიაშევა ბორა, ფილი, კურინო, ბოროშინო (4 კილომეტრზე ბატეცკაიას ჩრდილოეთით), კნიაჟია ბორა, რეჩკა, ბორი, მალიე ტოროშკოვიჩი, ლიხარევა ბორკა, ნოვოე სელო, ლეტეცი, იუგოსტიცი, ბოლშოე კოლეზერიე, ტეტერევინო, პეტეცკიე, ვისოკოე.

ნოვოსოკოლნიკის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

31 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 74 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილები გადავიდნენ მდინარე ლუგაზე ქალაქ კინგისეპის სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით. მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დღეს დაიკავეს ქალაქი კინგისეპი. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, რომლის დათვლაც სწარმოებს. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევენ წინ ფინეთის ყურის სანაპიროს გაყოლებით, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და გავიდნენ მდინარე ლუგის შესართავთან. კინგისეპის სამხრეთით ჩვენი ჯარები მიადგნენ სამროს ტბას. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეავტომატეებმა უფროს ლეიტენანტ კორიჩევის მეთაურობით მოსპეს შტაბის ავტობუსი, რომლითაც მიდიოდა გერმანელი ოფიცრების ჯგუფი პოლკოვნიკის მეთაურობით. ლეიტენანტ ზამიატკინის ქვეგანაყოფის მებრძოლები შეიპრნენ რკინიგზის ერთ სადგურში, გაჟლიტეს გერმანელთა